პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ოთხშაბათი
21
აპრილი
№ 92
(16522)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

KOMUNISTI — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მეათე-საპრისხის, ეფექტიანობის-ხუთწლედი

სახელი და დიდება შრომითს კოლექტივებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, 1976 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში არიან!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

მოწინავე ხაზზე

ბევნი პარტიის ხელმძღვანელი და დამრაზმველი როლი მკაფიოდ ვლინდება მისი პირველადი ორგანიზაციების საქმიანობით. ისინი შეადგენენ შრომითი კოლექტივების პოლიტიკურ ბირთვს. ცხოვრება დამაჯერებლად მოწმობს: რაც უფრო ინიციატიურად, მიზანდასახულად მუშაობენ ეს ძირითადი პატრიული რგოლები, მით უფრო წარმატებით მიდის აქ საქმე, მით უფრო მნიშვნელოვანია მიღწეული შედეგები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ეკონომიური და კულტურული მშენებლობის წინა ხაზზე არიან, მოქმედებენ ხალხის შუაგულში, — განაცხადა პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მთელი თავიანთი მუშაობით ისინი აქტიურად უწყობენ ხელს მასების ცოცხალ შემოქმედებასთან პარტიის პოლიტიკის შერწყმას, სამეურნეო-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას".

კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე პირველადი პარტორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება. მათზე უდიდესწილად დამოკიდებულია მეათე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიური პროგრამის განხორციელება. ეს კი მოითხოვს, რომ თვითეულმა პარტიულმა კოლექტივმა ზუსტად განსაზღვროს თავისი ადგილი პარტიისა და ხალხის აღმშენებლობითს მუშაობაში, იზრუნოს შესაძლებლობებისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, მომთხოვნელად, შემოქმედებითად მიუდგეს თავისი საქმიანობის სრულყოფას.

მეათე ხუთწლედი უნდა გახდეს ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი. ამ ტივად ფორმულაში მოიცმულია ორიენტირი ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის. ისინი სხვადასხვა პირობებში მუშაობენ, და, რა თქმა უნდა, არის გარკვეული სპეციფიკა საწარმოო კოლექტივსა თუ საგანცნიერო ინსტიტუტში, მართვისა თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. მაგრამ მთავარი, რასაც მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ, — ეს არის მთელი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება.

ახლა პირველადს პარტორგანიზაციებში მიმდინარეობს კრებები, სადაც იხილავენ სკკპ XXV ყრილობის შედეგებსა და მის გადაწყვეტილებათა შესრულების ამოცანებს. აზრთა ფართო გაზიარება შესაძლებლობას იძლევა საფუძვლიანად განიხილონ შინაპარტიული, ორგანიზაციული და იდემზრდელობითი საქმიანობის ყველა მხარე, დასახონ კონკრეტული მიზნები და მათი მიღწევების გზები. თვითეული შრომითი კოლექტივისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უფრო ნათლად დაინახოს თავისი წინსვლის პორიზონტები, მომავლის მოქმედების პროგრამა. ამასთან არ უნდა დავიგიწყოთ, რომ მეათე ხუთწლედს წარმატების საფუძველი ეყრება უკვე დღეს, მისი პირველი თვეებიდანვე. აი რატომ არის განსაკუთრებით საჭირო მუშაობაში შეგახამოთ პერსპექტიული და მიმდინარე ხაქმეები, წარვმართოთ მშრომელთა ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მიმდინარე წლის გეგმებისა და ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის.

სწორედ ასე იქცევა პარტიულ ორგანიზაციათა უმრავლესობაზ. მათი მეცადინეობის შედეგია საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი მიღწევები სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში ქარხნებში და მშენებლობებზე, მინდვრებსა და ფერმებში — ყველგან, სადაც ჩქეფს დაძაბული შრომა. კომუნისტები, რომლებიც ამკვიდრებენ, ნვითარებენ ყრილობისათვის მზადებისა და თვით ყრილობის მუშაობის დროს შობილ სულიერ განწყობილებასა და შრომითს რიტმს, ცდილობენ ყოველდღიური პრაქტიკა გაამდიდრონ ახალი შემოქმედებითი ძიებით.

ეფექრე და ძებე! ეს დევიზი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. ამას წინათ „პრავდამ" გამოაქვეყნა ხაუბარი მოსკოვის პარტორგანიზაციათა მდივნების ჯგუფთან. როცა ილაპარაკეს XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაწეული მუშაობის პირველ ნაბიჯებზე, მათ ერთსულოვნად ხაზნიშნეს: მხოლოდ ბეჯით კოლექტიურ ძიებას მოსდევს წარმატებაო. საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება იმას, რომ კიდევ უფრო აქტიურად მოვახდინოთ გავლენა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ პარტიული მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები — კომუნისტთა კრებები, ბიუროსა თუ კომიტეტის სხდომები, ხელმძღვანელთა ანგარიშები. კონტროლის უფლების განხორციელება, ძალების თავმოყრა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად. უფრო გაბედულად უნდა ვეყრდნობოდეთ საამქრო პარტორგანიზაციათა და პარტიული ჯგუფების ფართო ქსელს, რომლებიც ამ ბოლო ხანს არსებითად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას. იგი ჩაღდება ლოზუნგით — „ვამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესებისათვის!". იბადება პატრიოტული თაოსნობები და წამოწყებები. შემოქმედებითს ძიებაში ებმება მილიონობით ადამიანი. პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანაა აქტიურად დაუჭირონ მხარი ყოველივე ახალს, პროგრესულს, ადიეს უფრო ფართოდ განავითარონ ინიციატივა. რომელიც მიზნად ისახავს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, არ დაუშვან შაბლონი, გულგრილობა, ფორმალიზმი.

მთელმა ატმოსფერომ კოლექტივში ხელი უნდა შეუწყოს ერთსულოვან მუშაობას. კომუნისტებზე ბევრად არის დამოკიდებული ახეთი ვითარების შექმნა. გულისხმიერი, ყურადღებიანი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, ზრუნვა მათი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა უპირველესი მოვალეობაა. რა თქმა უნდა, ნამდვილი ამხანაგობა გულისხმობს მაღალ ურთიერთმომთხოვნელობას. მკაცრ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის, შეურიგებლობას ნაკლოვანებებისადმი. ინიციატიული შეფასება უნდა მივცეთ დისციპლინის, ჩვენი ზნეობის ნორმების ყოველ დარღვევას, დოყლაპობას, კრიტიკისადმი არაჯეროვნ დამოკიდებულებას.

სრულიფოფ რა შრომით კოლექტივებში მუშაობის სხვადასხვა ხარეს, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დღენიადაგ უნდა განამტკიცონ საკუთარი რიგები. თვითეული კომუნისტი უნდა იყოს პარტიის მაღალიდეური, აქტიური მებრძოლი, იდგეს მოწინავე ხაზზე კომუნიზმის მშენებელთა რიგებში. უფრო მომთხოვნელად უნდა შეუდგებოდეთ სკკპ რიგებში მიღებას, პარტორგანიზაციებს ვავსებდეთ იმით ხარჯზე, ვინც ნამდვილად დაიმსახურა ამხანაგების აღიარება, გამოიჩინა თავი შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, რა თქმა უნდა, ვამაღლებდეთ პასუხისმგებლობას ლენინური პარტიის წევრის მაღალი წოდებისათვის.

პირველადს პარტორგანიზაციათა საქმიანობა მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო კარგად ხელმძღვანელობენ მათ პარტიული კომიტეტები. მუდმივი ყურადღება საინტერესო გამოცდილებისადმი, ნაკლოვანებებისადმი, რომლებიც ხელს უშლიან კომუნისტთა მუშაობას, კონკრეტული დახმარება, ინსტრუქტაჟი ადგილებზე — აი რა არის აქ მთავარი.

— **კომუნისტებო! ეუაგით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის ავანგარდში, მასებში აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს საბრძოლო სამაისო მოწოდება პარტიელებს შთაგონებს, მატებს ახალ ძალებსა და ენერგიას პირველად პარტორგანიზაციებს. ისინი მუდამ კომუნისტური მშენებლობის მოწინავე ხაზზე არიან.

PRAVDA
20 აპრილის მოწინავე

საპირველმაისო ვახშზე

პირადი გეგმებით

საწარმოში გულდასმით განვიხილეთ სეერდლოვსკელთა მუშაობის გამოცდილება და კონკრეტული სამოქმედო პროგრამა შევიმუშავეთ. ვკისრულობთ, რომ წლიური დავალება 28 დეკემბრისათვის შევასრულოთ.

ახლა საწარმოში დიდი უურადღება ექცევა ბრიგადული გეგმების შემუშავებას. ხუთწლედი — ოთხ წელიწადში! ამ დევიზით დადგა საპირველმაისო ვახტზე ეთერ ჩადუნელის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. მის ინიციატივას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ი. ბურჯანაძის, გ. მაღრაძის და ა. ცაბაძის ბრიგადებმაც დაუჭირეს მხარი და პირობა დადეს, რომ თავს არ შეიერცხვენენ.

უფრო დიდი პირადი გეგმები დაისახეს ცალკეულმა მუშებმა. მედგაზგე ნ. არევაძე დღიურად 550 ცალი სკამის დეტალის ნაცვლად 1.100 ცალს ამზადებს. ასეთივე მიჯნების იღებენ მეავეჯეები რ. ტაბატაძე, ი. ბერაძე, ა. შარიქაძე, ჯ. ტაბატაძე და სხვები.

ხარისხის ნიშანზე წარსადგენად გამოშვებული ახალი მოდელის „საიუბილეო" სკამი ხუთწლედში 142 ათასი ცალის ოდენობით უნდა აიწყოს. სვერდლოვსკელთა თაოსნობის პასუხად მეავეჯეები ამ დავალების შესრულებას 2,5 წელიწადში ვარაუდობენ.

თ. გორშკოვი,
მარელისის საავეჯო ფაბრიკის დირექტორი.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" მეთაური საწარმოს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ამირან გელაშვილი ხელმძღვანელობს, ერთი წლის წინათ შეიქმნა. ბრიგადამ პირნათლად შეასრულა ყრილობისწინა ვალდებულებანი, ვადაზე 15 დღით ადრე დაამთავრა პირველი კვარტალის გეგმა.

ბრიგადამ ბევრი რამ უნდა გააკეთოს მეათე ხუთწლედის პირველ წელს. მან გადაწყვიტა უარი თქვას ოსტატის, წუნმდებლისა და დისპეტჩერის მომსახურებაზე. მთელ მათ მუშაობას ერთსულოვანი კოლექტივი თვითონ შეასრულებს.

წლის დამლევამდე ბრიგადა მარტო რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით ეკონომიას მანეთს დაზოგავს.

სურათზე: ა. გელაშვილი თვის ბრიგადის წევრებს ესაუბრება.

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეპარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ციტრუსოვანთა ბაღებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ხეების შეწამვლა. დაწინაურებულთა შორის არის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა. მეექვსე ბრიგადაგროგანყოფილების მოწინავე მექანიტრუსე გ. ტოკარაძე ჩინებულად უყალის ნარგავებს. მან პირველმა ყველაზე ადრე დაამთავრა მოსავლელად მინდილი ხეების შეწამვლა. ახლა ციტრუსოვანებს ასხურებს წაპალს.

სურათზე: ციტრუსოვანთა ხეების შესხურება ქობულეთის რაიონის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როგორ დაამთავრეთ პირველი კვარტალი?

რეალიზაცია, ხარისხი

მოკლე მიმოხილვა

საქართველოს მრეწველობის მუშაკები დამკვრელური შრომით შეუდგნენ წლის მეორე კვარტლის დაძაბული გეგმების შესრულებას. სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებული შეჯიბრება თანდათან ფართოვდება. ამასთან, კოლექტივები, როგორც ყოველთვის, ანალიზს უკეთებენ გაწეულ მუშაობას, სახავენ გზებს ძმისათვის, რომ აღარ გამეორდეს ის ნაკლოვანებები, რომლებიც მათს მუშაობაში ადრე იყო.

რა გვიჩვენა მეათე ხუთწლედის პირველი წლის პირველმა ხაშვა თვემ? ეს ეს არის მივიღეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბიულეტენი, რომელიც ჩვენი კოლექტივების ბევრ მნიშვნელოვან მიღწევას და სამწუხარო ჩამორჩენასაც გვაცნობს.

პირველი კვარტალის პროდუქციის რეალიზაციის დავალება საქართველოს სსრ მრეწველობამ 102,4 პროცენტით შეასრულა, ტეგმის გადამეტებით რეალიზებულია 32,1 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ეს ჩვენი მრეწველობის მუშაკთა საერთო თავდადებული შრომის შედეგია. მაგრამ საკავშირო რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების 34 სამინისტროსა და უწყებიდან პირველი კვარტალის დავალება ვერ შეასრულა 7 მათგანმა, ანუ საერთო რაოდენობის 20,6 პროცენტმა.

ჩამორჩნენ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, რომლებმაც რეალიზაციის გეგმა 97,7 პროცენტით შეასრულეს და დააკლეს 1.166 ათასი მანეთი. სამწუხაროა, რომ ჩამორჩენილთა რიგებშია მშენებლობის სამინისტროც, რომელმაც რეალიზაციის დავალებას 1.139 ათასი მანეთი დააკლო. რეალიზაციის გეგმები ვერ შეასრულეს ავტომობილთა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის", ავტომობილთა საქართველოს სსრ კავშირის გზის მრეწველობის, ფერადი ლითონების, ქიმიური მრეწველობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროებმ, საწარმოთა კოლექტივები.

900-ზე მეტი საწარმოსა და გაერთიანებიდან 88 ვერ გაართვა თავი პროდუქციის რეალიზაციის დავალებას, რომლებმაც ამ მაჩვენებელს 23,1 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლეს, 9,2 მილიონი მანეთით მეტი ვიდრე წარსანდელ პირველ კვარტალში.

პროდუქციის რეალიზაციის დაბალი მაჩვენებლები აქვთ გულრიფშის სატყეო, ბზიფის ხის დამშუშავებელ კომბინატებს, კასპის ცემენტის ქარხანას, თბილისის მალეულის საქონი, ცხაკაიას ხალიჩების, სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკების, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის, სამტრედიის ჩაის საწონი ფაბრიკის, რუსთავის რეზინატეტონის ნაკეთობათა, სოხუმის გაზის აპარატურის, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნების, რუსთავის ქიმიური კომბინატის, საყოფაცხოვრებო ქიმიის გაერთიანების სათავო საწარმოს, ბათუმის ტრანსფორმატორების და მანქანათსამშენებლო ქარხნების და სხვა კოლექტივებს.

პროდუქციის რეალიზაციის დავალების შეუსრულებლობის ასეთი ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ სამინისტროთა და უწყებათა, თვით საწარმოთა ხელმძღვანელობა და კოლექტივები, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ზრუნავენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ადგილებზე სათანადოდ არ ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, სუსტია წუნის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ახლა საპრველმაისო შრომის ვახტზე დგანან. ბევრმა მათგანმა ვალდებულება იკისრა ამ დღისათვის ხუთი თვის დავალებაც კი შეასრულოს. მაგრამ პროდუქციის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად არ უნდა დავავიწყდეს მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანა — ხარისხი, ხარისხი და კიდევ ხარისხი.

პროდუქციის რეალიზაციის დავალების შეუსრულებლობის ყოველი შემთხვევა საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ამთავითვე ვიზრუნოთ, რომ კოლექტივების ხარისხოვანი მუშაობის ეს მაჩვენებელი მეორე კვარტალში არათუ უკეთესი, არამედ ნამდვილად საუკეთესო იყოს.

რ. ჯელიძე.

„პრავდის" ფურცლებზე

20 აპრილი

დღეს „კომუნისტის" ფურცლებზე გამომბეჭდილია „პრავდის" გუშინდელი მეთაური წერილი „წინა ხაზზე".

პირველ გვერდზევე გამოქვეყნებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული რუკა („სსრ კავშირის ტერიტორიული საარმოო კომპლექსები"). რუკაზე აღნიშნულია ახალი უდიდესი მშენებლობანი. მხოლოდ უდიდესი. მაგრამ ისინი მრავალი ნოეულია. ასეთია ჩვენი ეკონომიკის მასშტაბები. ასეთია კაპიტალური მშენებლობის პროგრამა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ გამოიმუშავა. რუკაზე სხვა უდიდეს მშენებლობათა შორის აღნიშნულია ენგურის ჰიდროელექტროსადგურიც.

რა პრობლემებს აწყდებიან ტერიტორიული საარმოო კომპლექსების შემქმნელები? როგორ უფრო უკეთ შევახამოთ ტერიტორიული და დარგობრივი დაგეგმარება? ამაზეა ლაპარაკი აკადემიკოს ნ. ნეკრასოვის წერილში — „ჩვენის ინდუსტრიული რუკა" (მეათე ხუთწლედის პანორამა), რომელიც გაზეთის მეორე გვერდზეა დაბეჭდილი.

გაზეთი მესამე და მეოთხე გვერდებზე აქვეყნებს პროფესორ ვ. ზაგალაშვილის ვრცელ წერილს „ინტერნაციონალიზმი კომუნისტთა დროშაა".

მკითხველი აქვე ნახავს „პრავდის" და საკავშირო კორესპონდენტთა მიერ გადმოცემულ საერთაშორისო ინფორმაციას, აგრეთვე „პრავდის" პოლეტიკური მიმომხილველის ი. შუკოვის წერილს „საშიში გასუქება".

საშინელი ხარისხების ვაიმაძიებელთა ავბედით ამბავზეა აგებული მ. ოდინეცისა და ი. შატუნოვსკის ფელეტონი „აზრები ძირაზეით".

მეექვსე გვერდზე დაბეჭდილია ცნობა („საქართველოს მარმარილო"), რომ ლოხეთის ახლოს მიკვლეულია მარმარილოს ახალი საბადო — ჩედიმი, რომლის მარაგი წინასწარი გაანგარიშებით 10 მილიონ კუბიურ მეტრ მარმარილოს ბლოკს შეადგენს.

დედაქალაქის წვლილი

1976 წლის 17 აპრილის მოსკოვის კომუნისტური შაბათობის შედეგების შესახებ

1976 წლის 17 აპრილს კომუნისტურმა შაბათობამ, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავს, მოსკოვში ორგანიზებულად, დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ჩაიარა. იგი აღინიშნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დედაქალაქის მშრომელთა დამკვრელური, დიდად ნაყოფიერი მუშაობით, გადაიქცა კომუნისტური შრომის მასობრივ დღესასწაულად.

შაბათობაში მონაწილეობდა 6 მილიონ 200 ათასი მოსკოველი. გამოშვებულია ათობით მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მეტმა წილმა საწარმოებმა ვადაადაჭარეს ნაწარმის გამოშვების. სამუალო დღიურ მოცულობას.

1976 წლის კომუნისტური შაბათობის შედეგები აღემატება შარშანდელი შაბათობის მაჩვენებლებს. (საკდესი).

ოფიციალური ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით 20 აპრილს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური პარტიის და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კეისონ ფომვიხანი.

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე, ამხანაგ კ. ფომვიხანს, დელეგაციის სხვა წევრებს თვითმფრინავთან გულითადად, ძმურად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები კ. ფომვიხანის მეთაურობით იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკეს იგი. მათ წუთიერი დუმილით სცეს პატივი მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ხსოვნას.

დელეგაციამ გვირგვინით შეამკო უცხობა ჯარისკაცის საფლავი.

(საკდესი).

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენი ქვეყნის კომუნისტების, მთელი ხალხის სახელით გულითადად ულოცავს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნის 30-ე წლისთავს.

მუშათა კლასის ერთიანობის აღდგენა, კომუნისტთა და სოციალ-დემოკრატთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის რიგებში გაერთიანება გერმანიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში უდიდესი მოვლენაა. ჰიტლერული ფაშიზმის შემუსვრის შემდეგ ალ-გერმანიის მიწა-წყალზე ღრმა რევოლუციური გარდაქმნებისა და ახალი ცხოვრების შენებლობის დიდმნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმხრივ განვითარება, დინამიკურად განვითარებად სოციალისტურ სახელმწიფოდ მისი გადაქცევა, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება — ყოველივე ეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი საქმიანობის შედეგია.

საბჭოთა კომუნისტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და განუხრელად იცავენ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1975 წლის 7 ოქტომბრის ხელშეკრულების პრინციპებს, კვლავაც განამტკიცებენ და განავითარებენ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმურ კავშირს ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის 30-ე წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღს რესპუბლიკის კომუნისტები აღნიშნავენ თავისი პარტიის IX ყრილობის წინ, რომელიც უთუოდ ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, მთელ ხალხს შემდგომ სახელოვან წარმატებებს ამ ისტორიული ამოცანის შესრულებაში.

გთუმარჯოს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს!

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობა!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სსრკ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

20 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელიც განიხილა საბჭოთა ჟურნალისტების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და შესრულების ორგანიზაციის საქმეში. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, გაზეთ „იზვესტიის" მთავარმა რედაქტორმა ა. თ. ალექსეევმა.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფოთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისადმი. წერილში ისინი წერენ, რომ მუდამ იქნებიან კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი ვ. გ. აფანასიევი.

(საკდესი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის საერანგეთში მოგზაური ვიზიტისათვის

საფრანგეთის მთავრობის მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო საფრანგეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა 1976 წლის აპრილის დამლევს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1976 წლის 20 აპრილს მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 41 წლისა გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი

გიორგი ალექსანდრეს-ძე ძულიაშვილი.

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნეს საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივნის გ. ა. ძულიაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ს. ე. ხაბეიშვილი (თავმჯდომარე), ლ. ლ. ზაქაიძე, ზ. ა. კვაჭაძე, ზ. ბ. მეგზეფეშვილი, რ. ა. სესიაშვილი, თ. ი. ხელაშვილი.

გ. ა. ძულიაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ბრძოლა უკანონო ოპერაციებს

საქართველოს სსრ ხოფლის მეურნეობის და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების ზოგიერთ მეურნეობასა და საწარმოში პირუტყვის სუქების, დამზადებისა და გადამუშავების ორგანიზაციის საქმეში უხეში დარღვევების ფაქტების შესახებ ამას წინათ იმსჯელა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა და საოანადო დადგენილება მიიღო.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად ამ სამინისტროების ზოგიერთი მეურნეობისა და ხორცკომბინატის საქმიანობაში თვალის აცვევის, პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების წესის უხეშ დარღვევათა ფაქტები აღმოჩნდა, ბოგდანოვკის რაიონში მეურნეობათა მუშაკები პირუტყვის სასაკლაო პუნქტის თანამშრომლებთან წინასწარი შეთანხმებით ძვირფასი ცხოველების ფარულ ფასებში მიღება კვლავ შეელებურად — ცოცხალი წონის მიხედვით წარმოებს. თანაც ყოველივე ეს დადგენილი წესების უხეში დარღვევით ხდება. აქ 1974-1975 წლებში ახალქალაქის და ასპინძის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან, რომლებიც ხორცკომბინატიდან 50-100 კილომეტრით არიან დაშორებული, ყოველი წესის დარღვევით იბარებდნენ პირუტყვს.

პირუტყვის მიღების წესების უხეში დარღვევის ფაქტები დადგენილ იქნა სხვა ხორცკომბინატებშიც. შემოწმების დღეს ხაშურის ხორცკომბინატში (დირექტორი ა. კიკაძე) მეპარხლეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის სასუქებელი პუნქტიდან შემოსული 156 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაკვლა და გადამუშავება ვეტერინარული გასინჯვის გარეშე და შესაბამისი მისაღები საბუთების გაუფორმებლად წარმოებდა. ბორჯომის ხორცკომბინატის მაცივარში (დირექტორი გ. ოქროაშვილი) 34,4 ტონა საქონლის და ღორის ხორცი აღმოჩნდა, რომელსაც შესაბამისი შტამი და დამღა არა ჰქონდა.

ვეტერინარულად გაუსინჯავ პირუტყვს იღებდნენ ახალციხის ხორცკომბინატშიც, ხოლო ბორჯომის ხორცკომბინატის ბოგდანოვკის სასაკლაო პუნქტს საერთოდ არა აქვს დაკვლის წინ პირუტყვის ვეტერინარული გასინჯვის დამადასტურებელი შტამი.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ამ საწარმოებში დაბალია სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა და წარმოების კულტურა, ირღვევა წარმოების ტექნოლოგია და ა. შ.

ცხადია, ეს ნაკლოვანებანი და დარღვევები იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები სათანადო კონტროლს ვერ უწევენ დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაობას, შემოწყარებლურად ეკიდებიან პირუტყვის სუქების, დამზადების, მიღებისა და გადამუშავების ორგანიზაციისა და სანიტარულ-ტექნიკური პირობების დაცვის საქმეში დარღვევების ფაქტებს.

კომიტეტის დადგენილებით ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრს გ. დუჩიძის ყურადღება მიექცა დაქვემდებარებული საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს და ამაზე კმეიდნი ზომების გატარება დაევალა. პირუტყვის შეშოწმებლად მიღებისა და გადამუშავების, წარმოების ტექნოლოგიისა და სანიტარული წესების უხეში დარღვევებისათვის ბორჯომის ხორცკომბინატის დირექტორს გ. ოქროაშვილს სასტიკი საყვედური გამოეცხადა, ზაშურის ხორცკომბინატის დირექტორის თანამდებობაზე ა. კიკაძის შემდგომი დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი განსახილველად საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, ხოლო ახალციხის ხორცკომბინატის დირექტორის მ. ვეღაშვილის, ბოგდანოვკის სასაკლაო პუნქტის დირექტორის ვ. დარბინიანის და სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად პარტიის სათანადო რაიკომებს გადაეცა.

სიტყვისა და საქმის ქმედითობა

რუსთავის სახალხო კონტროლიორები ანგარიშს აბარებენ



მგზილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სახალხო კონტროლიორები ენერგიულად შრომობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ეს სურათი იმ მომენტში გადაიღო, რომ კონტროლიორები დეტალის ნახაზის ვარგისიანობაზე მსჯელობდნენ.

სურათზე: (მარცხნიდან) **სახალხო კონტროლიორები ვ. ბავთასი, ა. რაზმაძე, გ. სოკაევი და რ. ბეგიაშვილი.**

გ. ბოგოხიას ფოტო.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი შრომითი და ჰოლიტიკური ადამიანების ვითარებაში შეუდგნენ მეათე — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის ამოცანათა შესრულებას.

სწორედ ასეთ შრომითი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს ახლა საწარმო-დაწესებულებათა, მშენებლობებისა და ტრანსპორტის ორგანიზაციებში სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების არჩევნები, ამ კამპანიას, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და 1 ივნისს დამთავრდება, წინ უძღოდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა. ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების საკითხი მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის სახალხო კონტროლის კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდა. დამტკიცდა განრიგი, განისაზღვრა კრების ჩატარების თარიღები, რომელებზეც მიამაგრეს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე განყოფილებათა გამგეები, ინსპექტორები და წევრები.

ანგარიშგება-არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით ჯგუფების თავმჯდომარეებისათვის მოეწყოთ თათბირ-სემინარი, დაგვმეთ წარსულის პრაქტიკა, როდესაც კოლექტივის პროფკავშირულ ან საერთო კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად გეგმავდნენ ჯგუფის ანგარიშგება-არჩევნებს. ჯგუფის ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ კონტროლიორთა რაოდენობა განსაზღვრონ იმ პრინციპით, რომ ყველა უბანზე უზრუნველყოფილი იქნას მუდმივი კონტროლი, კონტროლიორთა რიგებში აირჩიონ ყველაზე ავტორიტეტული, აქტიური მუშები, სპეციალისტები, პენსიონერები და ა. შ.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ახლა კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს მეტი გულისყურით ეკიდებიან პირველადი პარტიული ორგანიზაციები და მათი ბიუროები. ეს ერთხელ კიდევ თავო ჯგუფის ნაცვლად შეიქმნას სახალხო კონტროლის კომიტეტები. მას ექნება ყველა ის უფლება, რაც სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს გააჩნია. რუსთავის პირობებში ასეთი კომიტეტები შეიქმნება მეტალურგიული ქარხნისა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის ბაზაზე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკაში პოლიტიკურ-ეკონომიური კლიმატის გასაჯანსაღებლად სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სახალხო კონტროლის რუსთავის საქალაქო კომიტეტი, ხელმძღვანელობს რა ამ დადგენილებით, თავის საქმიანობას წარმართავს ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, იმ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, რომლებიც სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებმა დაუსახა სახალხო კონტროლის ორგანოებს.

პირველმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა გვიჩვენა, რომ ადგილებზე სწორად გაიგეს საქმის ვითარება, პირველადი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით არჩევნები მაღალ დონეზე ტარდება. ქიმიური ქარხნის საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის საამქროს კრებას 68 კაცი დაესწრო. ჯგუფის თავმჯდომარემ ნ. მეტრეველმა და კამაში გამოსულმა 7 ამხანაგმა საქმის ცოდნით ილაპარაკეს კონტროლიორთა საქმიანობაზე, მათ აღნიშნეს კონტროლიორთა მუშაობაში არსებული ცალკეული ნაკლოვანებები. მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე გაიმართა საარჩევნო კრებები მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაყრელივ საამქროში, მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 4 სამმართველოსა და ამწემშენებელი ქარხნის სამჭედლო-საწნეხ საამქროში.

ჩვენს საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებანიც შეიმჩნევა. მათ შესახებ პრინციპულად, მაღალი პარტიული პოზიციებიდან ლაპარაკობენ ჯგუფებისა და საგუშაგოების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოსული ამხანაგები. სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი უურადღებით განიხილავს თვითეულ კრიტიკულ გამოსვლას, ყოველ ღონეს იხმარს მათი გამოსწორებისათვის.

თ. ხაზარაძე,
რუსთავის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

„კომუნისტის“ კრიტიკული ბარომეტრის შუქზე

ბანა ეს მშენებლობაა

რედაქციას ეახასლებს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი.

სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით“ დაბეჭდილ წერილში — „ბანა ეს მშენებლობაა?“ მხილებული იყო ქედის რაიონში საავადმყოფოს მშენებლობის გაჭიანურების ფაქტები. ამის გამო პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ი. უნგბაძე გვწერს:

წერილში „ბანა ეს მშენებლობაა“? მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა აჭარის ასსრ პროკურატურას დაავალა ბანიანლის საავადმყოფოს უხარისხო მშენებლობაში დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი.

გაფრთხილებულ იქნა № 6 საშშენებლო ტრესტი სამუშაო გეგმის მიხედვით წლევანდელი წლის მესამე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადასცეს 415 გრძივი მეტრი ნაპირსამაგრი. მერიხისის საშუალო სკოლის გათბობის სისტემის დეფექტის გამოსასწორებლად მიღებულია შესაბამისი ზომები. მოწესრიგებულია დოლოგნის საშუალო სკოლის გათბობის სისტემაც.

როგორ სრულდება „ბანაწესი“

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ სახელოვნო მშენებლობის სამინისტრო.

ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში — „მასების კონტროლით“ — გამოქვეყნდა წერილი „როგორ სრულდება „ბანაწესი“. იგი მახარაძის რაკნა-ბეტონის ქარხნის მიერ გამოშვებულ უხარისხო პროდუქციას ეხებოდა. ამის გამო საქართველოს სსრ სახელოვნო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ი. გოგელია გვწერს: გაზეთში მოყვანილი მასალები შეესაბამება სინამდვილეს. მდგომარეობა დღეისათვის ძირითადად გამოსწორებულია.

ფორმალიზმის ტყვეობაში

რედაქციას უპასუხებს ტყიბულის საკალაქო საბჭოს აღმასკომი.

ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით“ გაკრიტიკებული იყო ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფასების, ტარიფების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების წესების დაცვის კომისიების მუშაობა. ამასთან დაკავშირებით ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ცნობილაძე გვწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „ფორმალიზმის ტყვეობაში“ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა.

წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გადავახალისეთ საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფასების, ტარიფების, ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების წესების დაცვის კონტროლის კომისიის შემადგენლობა. ამასთან ახალი მუშაკებით შეივსო და გაიზარდა სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოებთან არსებული კომისიების რაოდენობაც.

მიღებულია ზომები ამ კომისიების მუშაობის გასააქტიურებლად.

ხელმძღვანელობის ძალა

წარმოების თვალი და ყური

დისციპლინა, ორგანიზაციულობა

ჩვენი რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი 162 ჯგუფსა და 305 საგუშაგოს აერთიანებს. საერთო მუშაობაში 4.200 სახალხო კონტროლიორია ჩაბმული. კომიტეტთან მოქმედებს 7 შტატგარეშე განყოფილება.

რაიონის 14 ორგანიზაციაში შეწყვეტილი იქნა საშტატო სახალ-ჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვის მდგომარეობა. სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა ცეკავშირის სამტრედიის სავაჭრო ბაზაში, ქალაქ სამტრედიის კომუნალური მეურნეობის კომბინატსა და სხვა ორგანიზაციებში. სახალხო კონტროლიორთა ყურადღების ცენტრში დგას გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები გამოვლინდა ჩაის საწნეხ ფაბრიკაში, ხორცისა და რძის კომბინატებში, პურკომბინატში.

კვლავ მრავალრიცხოვან რეკლამაციას იღებენ დაფნის კომბინატი, აბრეშუმის ძაფსაღები და ბამბის საორთაო ფაბრიკები. აღნიშნულ საწარმოებში შრომის დისციპლინის შესუსტებით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ დიდი რაოდენობით ცდება სამუშაო საათები, რისთვისაც საწარმოები იძულებული არიან მუშახელი დაასაქმონ არასამუშაო დღეებში. ეს კი იწვევს არამწარმოებლურ ზარჯებს.

საწარმოო დისციპლინის სერიოზული ნაკლოვანებები ამხილეს სახალხო კონტროლიორებმა სამტრედიის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოში. გამოვლინდა 30-ზე მეტი მძღოლი, რომლებიც სხვადასხვა დარღვევებისათვის დაისაჯნენ. პარადოქსულად ჩანს, ის, რომ თვით ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობას ამავე პერიოდში დარღვევის არცერთი ფაქტი არა აქვს ფიქსირებული. უფრო მეტიც: საწარმოს მთავარმა ინჟინერმა ნ. დუნდუამ ყველა ღონე იხმარა, რომ დისციპლინის დამრღვევ მძღოლთა მიმართ გამოეყენებინათ ლოიალური სასჯელები. კომიტეტმა მთავარი ინჟინერის ნ. დუნდუას საკითხი პარტიის რაიკომის წინაშე დააყენა, რაიკომის ბიურომ კი იგი მოხსნა სამსახურიდან.

ამას წინათ სახალხო კონტროლორებმა სერიოზული დარღვევები გამოავლინეს რაიკოოპკავშირის საშენ მასალათა საწყობების მუშაობაში. აქ შეგნებულად არღვევდნენ ზემდგომი ორგანოების მითითებებს, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებში საშენი მასალების შეძენის თაობაზე. აქ შარშან რაისაბჭოს აღმასკომის გვერდის ავლით გაყიდეს 318 ტონა ცემენტი, 20.000 ცალი შიფერი, 300 კუბ. მეტრი დახერხილი მასალა და სხვ. საკითხი მჯელობისათვის კომიტეტის მიერ რაისაბჭოს აღმასკომში დაისვა. რაიკავშირის გამგეობის ხელმძღვანელ მუშაკებზე კი პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურო იმსჯელებს.

ახლა სახალხო კონტროლის ორგანოების ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპია — კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მორიგი ანგარიშგება-არჩევნები. სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა დროულად დაიწყო მზადება მისი მაღალ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ დონეზე ჩატარებისათვის.

არჩევნები უკვე ორმოცზე მეტ ორგანიზაციაში ჩატარდა: საკონსერვო და დაფნის კომბინატში, ჯიხაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში, ოფეთისა და ბაშის სასოფლო საბჭოებში და ა. შ.

ამ დიდი კამპანიის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას გვეომობს პარტიის რაიკომი. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიგიგრებულნ არიან პარტიის რაიკომის და მისი ბიუროს წევრები, განყოფილებათა გამგეები, რაიკომის მდივნები, რაიკომასკომის პასუხისმგებელი მუშაკები. ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარება, ეფიქრობთ, მრგვალმა იმის გარანტიას, რომ ჩვენი სახალხო კონტროლიორები კვლავაც სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.

გ. ფოცხვერაშვილი,
სამტრედიის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

როგორც თბილისში. ისე რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში ახლა ავტომანქანებისათვის საწვავით გასაწყობი მრავალი პუნქტია. მაგრამ ამ პუნქტებში ყველაფერი რიგზე როდია. ხშირია შემთხვევა, როცა იქ მომუშავენი უხეშობენ, ბენზინს აკლებენ და ამით გამოძალვას ეწევიან.

მკითხველის სიგნალიდან.



ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲛᲞᲐᲠᲗᲘ.

გ. ლომიძის ნახ.

წყალსაქაჩი—პარკში?

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ყოველი თბილისელისათვის საყვარელი დასასვენებელი ადგილია. აქ ყოფნა ძალიან უყვართ პატარებსაც. ამიტომ არის, რომ ყოველდღიურად, მით უფრო ახლა, გაზაფხულის ამ დღეებში, პარკს განსაკუთრებით ეტანებიან. და აი, პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულია ეს აუზები, რომლებიც აქ დიდი ხნის წინათ ააგეს. მართალია, აუზები კარგად არის დაცული, შემოვლებული აქვს ცემენტის მაღალი ზღუდე. ყველგან გამოკრულია გამაფრთხილებელი აბრები, რომ ბანაობა არ შეიძლება, დარჯიც ჰყავს, მაგრამ ზაფხულობით მასში ბანაობის ფაქტები მაინც არის. სამწუხაროდ, იყო მსხვერპლიც.

ამ პარკის დამსვენებლებს და აუზებთან ახლო მცხოვრებთ კარგად ესმით, რომ აუზები საკირეთის წარმოადგენენ და მათი არსებობა აუცილებელია, მაგრამ. ჩვენი აზრით, აჯობებდა ისინი სხვა უფრო მოხერხებულ ადგილზე გადაეტანათ.

ა. ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ.

ᲛᲐᲚᲔᲥᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ!

№ 111

მთელი სოფელი შეიკრიბა ზნაურის რაიონის სოფელ ძუგუთის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე, სადაც ანგარიშს აბარებდა სახალხო კონტროლის ჯგუფი. მომხსენებელმა — სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ თ. ბესტაევმა შეკრებილთ უკანასკნელ ორ წელიწადში სახალხო კონტროლიორთა საქმიანობა გააცნო.

მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში — თქვა მან — სახალხო კონტროლიორები იყვნენ. ისინი საქმისადმი, სოფლისადმი ერთგულებას პირადი მაგალითით ცხადყოფდნენ.

ძუგუთელები წლეულს გაზაფხულზე მასობრივად გამოვიდნენ ხეხილის ბაღებსა და ვენახებში, სასიმინდე და საჭარხლე ნაკვეთებში სამუშაოდ. სახალხო კონტროლიორთა ფხიზელი თვალი სამუშაოთა ყველა უბანს სწვდება.

შესრულებული სამუშაო ხარისხიანია, — თქვეს მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა სახალხო კონტროლიორებმა ს. ბესტაევმა, გ. ჯაბიევმა, კ. თაღაევმა, ზ. ტოკაევმა, ს. ქოქოევამ და სხვებმა.

ახლანდელი ხუთწლედი ხომ ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია. ეს კი მეტად დიდი ამოცანების წინაშე აყენებს თვითეულ მშრომელს, განსაკუთრებით სახალხო კონტროლიორებს. მათი უპირველესი საზრუნავია შრომის დისციპლინის განმტკიცება. ამ მხრივ კი საანგარიშო პერიოდში მრავალი ნაკლი იყო, ჯგუფმა ვერ შეძლო აღეკვეთა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. 357 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან 75 იშვიათად მონაწილეობდა შრომაში. ჯანმრთელობა ადამიანები უდიდესი შრომითი და ჰოლიტიკური ადმავლობის ვითარებაში შეუდგნენ მეათე — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის ამოცანათა შესრულებას.

სწორედ ასეთ შრომითი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს ახლა საწარმო-დაწესებულებათა, მშენებლობებისა და ტრანსპორტის ორგანიზაციებში სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების არჩევნები, ამ კამპანიას, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და 1 ივნისს დამთავრდება, წინ უძღოდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა. ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების საკითხი მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის სახალხო კონტროლის კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდა. დამტკიცდა განრიგი, განისაზღვრა კრების ჩატარების თარიღები, რომელებზეც მიამაგრეს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე განყოფილებათა გამგეები, ინსპექტორები და წევრები.

ანგარიშგება-არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით ჯგუფების თავმჯდომარეებისათვის მოეწყოთ თათბირ-სემინარი, დაგვმეთ წარსულის პრაქტიკა, როდესაც კოლექტივის პროფკავშირულ ან საერთო კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად გეგმავდნენ ჯგუფის ანგარიშგება-არჩევნებს. ჯგუფის ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ კონტროლიორთა რაოდენობა განსაზღვრონ იმ პრინციპით, რომ ყველა უბანზე უზრუნველყოფილი იქნას მუდმივი კონტროლი, კონტროლიორთა რიგებში აირჩიონ ყველაზე ავტორიტეტული, აქტიური მუშები, სპეციალისტები, პენსიონერები და ა. შ.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ახლა კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს მეტი გულისყურით ეკიდებიან პირველადი პარტიული ორგანიზაციები და მათი ბიუროები. ეს ერთხელ კიდევ

სიტყვისა და საქმის ქმედითობა

რუსთავის სახალხო კონტროლიორები ანგარიშს აბარებენ

ნათელი გახდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარებისას, სადაც, როგორც წესი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეები არჩეულ იქნენ პარტბიუროს მდივნის მოადგილეებად.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებით იქ, სადაც შექმნილია პარტიული კომიტეტი პარტიაში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საკითხების განხილვაში რაიონული კომიტეტების უფლებით, გათვალისწინებულია სანუმის გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკაში პოლიტიკურ-ეკონომიური კლიმატის გასაჯანსაღებლად სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სახალხო კონტროლის რუსთავის საქალაქო კომიტეტი, ხელმძღვანელობს რა ამ დადგენილებით, თავის საქმიანობას წარმართავს ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, იმ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, რომლებიც სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებმა დაუსახა სახალხო კონტროლის ორგანოებს.

პირველმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა გვიჩვენა, რომ ადგილებზე სწორად გაიგეს საქმის ვითარება, პირველადი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით არჩევნები მაღალ დონეზე ტარდება. ქიმიური ქარხნის საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის საამქროს კრებას 68 კაცი დაესწრო. ჯგუფის თავმჯდომარემ ნ. მეტრეველმა და კამაში გამოსულმა 7 ამხანაგმა საქმის ცოდნით ილაპარაკეს კონტროლიორთა საქმიანობაზე, მათ აღნიშნეს კონტროლიორთა მუშაობაში არსებული ცალკეული ნაკლოვანებები. მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე გაიმართა საარჩევნო კრებები მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაყრელივ საამქროში, მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 4 სამმართველოსა და ამწემშენებელი ქარხნის სამჭედლო-საწნეხ საამქროში.

ჩვენს საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებანიც შეიმჩნევა. მათ შესახებ პრინციპულად, მაღალი პარტიული პოზიციებიდან ლაპარაკობენ ჯგუფებისა და საგუშაგოების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოსული ამხანაგები. სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი უურადღებით განიხილავს თვითეულ კრიტიკულ გამოსვლას, ყოველ ღონეს იხმარს მათი გამოსწორებისათვის.

თ. ხაზარაძე,
რუსთავის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

კოლექტივის სამსჯავროზე

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

ᲛᲝᲜᲘᲜᲗ სავსენი არიან ივანე ვალიევი, ნორა გაბიევა, ტანია ვალიევა, მადონა ბოლოთაევა, ზაურ ვალიევი, სიმონ კულუმბეგოვი, რომეო ბესტაევი და სხვები, მაგრამ შრომას გაურბიან. ასეთთა მიმართ კი სახალხო კონტროლიორებს არავითარი ზომები არ მიუღიათ. ჯგუფმა აგრეთვე ვერ მოაგვარა ე. წ. „მოგარაკეთა“ საკითხი. სოფელში არ ცხოვრობენ და სოფლის სიკეთით სარგებლობენ. ასეთები არიან გ. ბესტაევი, ლიზა, ივანე და ტანია ვალიევები, ალა და ვერა ბესტაევები...

კრებაზე სახალხო კონტროლის მუშაობის სხვა ნაკლიც აღინიშნა. კონტროლიორები არ იყენებდნენ თავიანთ დიდ უფლებებს და ზოგიერთ რეიდსა თუ შემოწმებას ფორმალური ხასიათი აქვს. ამიტომაც არის სერიოზული დარღვევების, სიყალბის, თვალისასვეველ ადამიანებს ეკეთილმოწყობის, სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე ღორებისა და ხბორების სადგომების მოწყობის საკითხებზე. კრებამ მოითხოვა სასმელი წყლის, აბანოს, წისქვილის და მომსახურების სფეროს სხვა ობიექტების ამუშავებაში სახალხო კონტროლიორთა აქტიური მონაწილეობა.

მართალია საანგარიშო პერიოდში სახალხო კონტროლიორთა ჯგუფმა 24 შემოწმება, რეიდი მოაწყო, მრავალი საჭირბოროტო საკითხი განიხილა, მაგრამ ამ საკითხების განხილვას აკლდა საქმის არსში ჩაწვდომა, საუბარაოზე არ იყო გამოტანილი მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება. ჯგუფის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. აირჩიეს სახალხო კონტროლიორთა ჯგუფის ახალი შემადგენლობა, შეიქმნა ოთხი სექტორი, კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა და სახალხო კონტროლიორთა სადღეგრძელო ამოცანებზე ილაპარაკა პარტიის ზნაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ფ. ჯიოევმა.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მსოფლიოს ამბები

საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული პოზიცია

ნიუ-იორკი. (საკ.დესი). საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს გადასცა ნოტა ატომური იარაღის გამოცდის მთლიანი და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულების დადების საკითხზე.

ატომური ომის საშიშროების აღმოფხვრისა და გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტის ამოცანასთან დაკავშირებით, ნათქვამია ნოტაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ატომური იარაღის გამოცდის მთლიანი და საყოველთაო აკრძალვის პრობლემას. ამ პრობლემის მნიშვნელობა კვლავ ხაზგასმული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიამ სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებით ხმების დიდი უმრავლესობით მოიწონა რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მოწოდებას ყველა ატომური სახელმწიფოსადმი—შეუდგნენ მოლაპარაკებას ატომური იარაღის გამოცდის მთლიანი და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულების მიღწევის მიზნით.

საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში გენერალური ასამბლეის ამ რეზოლუციის შესაბამისად.

საერთაშორისო ხელშეკრულების დადება, რომელიც კანონგარეშე აცხადებს ატომური იარაღის ყოველგვარ გამოცდას, დიდი წვლილი იქნებოდა გამალებული შეიარაღების შეზღუდვის საქმეში და ამით ხელს შეუწყობდა დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას, ატომური კონფლიქტის საშიშროების აღმოფხვრას.

გაუხორციელებელი დაპირებები

კანბერა. (საკ.დესი). ინფლაციის, უმუშევრობის ზრდა და ხუსტი საქმიანი აქტივობა, ადგილობრივი და საზღვარგარეთელი მიმომხილველების აზრით, ავსტრალიის ეკონომიური მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნები გახდა.

შარშან საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ახლანდელი პრემიერ-მინისტრი მ. ფრეიზერი აბორჩევლებს დაპირდა, რომ ლიბერალური და აგრარული პარტიების კოალიცია მიაღწევდა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას. როცა ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა, ლიბერალურ-აგრარული პარტიების კოალიციამ განახორციელა სახელმწიფო ბიუჯეტის გასაღების მუხლებად გამოყოფილი სახსრების „ეკონომიის“ მთელი რიგი ღონისძიებანი. მაგრამ ამ ღონისძიებებს ავსტრალიის ეკონომიური მდგომარეობის სტაბილიზაციაც კი არ მოპყოლია.

ცდილობს რა შეამციროს ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც, ფინანსური წლის დამლევისათვის ივნისში მიაღწევს 4,5-5 მილიარდ დოლარს, ფრეიზერის მთავრობა ცდილობს შეამციროს ხელფასი იმ სისტემის გადასინჯვის გზით, რომელიც ლეიბორისტებმა შემოიღეს და ითვალისწინებს ხელფასს მომატებას ინფლაციის ზრდის მიუხედავად.

ამის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებენ ავსტრალიის პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც 6 მილიონ კაცს აერთიანებენ. შალის მრეწველობის საწყობების მუშათა და შემფუთველ პროფკავშირმა დაიწყო გიფიცვა, მოითხოვა ხელფასის მომატება.

სიონისტთა გამოხდომა

რომი. (საკ.დესი). ისრაელის ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „გუშ ემუნიმის“ წევრმა მოფაშისტო არამზადებმა მოაწყეს პროვოკაციული მარში მდინარე იორდანის ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირზე. მისი მონაწილენი მოითხოვდნენ არაბული მიწების ანექსიასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალ გასამხედროდ დასახლებათა შექმნას. „დიდი ისრაელის“ აშკარა მომხრეთა ეს უხეში გამოხდომა მიმდინარეობდა ისრაელის არმიის მხარდაჭერით და თავდაცვის მინისტრის შ. პერესის დასტურით.

„გუშ ემუნიმის“ წევრი სიონისტები თავიანთი მოქმედებით მიზნად ისახავდნენ პროვოკაციულად გამოეწვიათ მასობრივი შეტევანი დასავლეთ ნაპირის არაბ მოსახლეობასთან, მეეცათ საბაბი, რომ საოკუპაციო ხელისუფლებს განეხორციელებინათ ახალი რეპრესიული ღონისძიებანი.

დასავლეთ ნაპირის მცხოვრებლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს ამ პროვოკაციის წინააღმდეგ. რამალაში, ნაბლუსში, ჯენინსა და სხვა ქალაქებში გაიმართა მასობრივი გამოსვლები, რომელთა მონაწილენი ერთხმად გაეძახოდნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მხარდასაჭერ ლოზუნგებს. ისრაელის პოლიციამ და უშიშროების ძალებმა სასტიკად გაუსწორდნენ დემონსტრანტებს. ამის შედეგად დაიხოცა რამდენიმე კაცი, მათ შორის 6 წლის ბავშვი.

ვითარება ლიბანში

ბეირუთი. (საკ.დესი). დაიდო ახალი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც სთ-ეალავით ოცდამეცხრეა ლიბანში სამოქალაქო ომის დაწყების დროიდან. კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარემ გუშინ განაცხადა, რომ ემხრობიან მას.

უმაღლესი სამხედრო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან ლიბანის, სირიისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა, თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობენ შეთანხმების განხორციელებისათვის. კომიტეტის სპეციალურ კომისიებს დაევალათ თვალი ადევნონ მის შესრულებას. მემარჯვენე პარტიების შეიარაღებული რაზმები დედაქალაქის აღმოსავლეთ რაიონებში და მემარცხენე ჯარების რაზმები დასავლეთ რაიონებში ამ კომისიათა კონტროლს უნდა დაექვემდებაროონ.

ლიბანის საზოგადოებრიობა კვლავ გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ იმპერიალისტური ძალები ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ ქვეყანაში მიმდინარე ამბებზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ლიბანის ნაპირებთან ირიან ამერიკის მე-6 ფლოტის ხომალდები.

კაპიტალის ქვეყნებში

საპროტესტო გამოსვლები

გფრ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქვემო საქსონიის 40 ქალაქის და თემის ათეულ ათასობით მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი გამოვიდა მოთხოვნით, რათა გადაისინჯოს მთავრობის გეგმა განათლების ხარჯების შემცირების შესახებ. საქმე ის არის, რომ ამ გეგმის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს მასწავლებელთა შტატების შემცირება და საშუალო სკოლებში სავალდებულო პროგრამის ერთი მესამედით შეკვეცა. როგორც განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირი იუწყება, 1976 წლის 1 თებერვლისათვის ქვემო საქსონიაში მომზადებული 1.800 მასწავლებლ ი დან მხოლოდ 180-მა მიიღო სამუშაო.

* * *

სურათზე: ქვემო საქსონიის მხარის დედაქალაქის მცხოვრებთა დემონსტრაცია ხაქალაქო რატუშის წინ. „დაეხმარეთ ჩვენს ბავშვებს!“, „გადაარჩინეთ სკოლები!“, „განათლების კრიზისი ქვემო საქსონიაში!“ — აწერია პლაკატებს.

GDR — ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

იაპონია

იაპონიაში იმართება საპროტესტო მიტინგები იმის გამო, რომ საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა ადგილობრივი საქმიანი წრეების სკანდალური კავშირი ამერიკულ კომპანია „ლოკჰიდთან“. მიტინგის მონაწილეები მოითხოვენ ამერიკის საოვაციო კომპანიის მიერ (რომელმაც იაპონიაში მისთვის ხელსაყრელი შეკვეთების მიღებას მიაღწია) იაპონიის ზოგიერთ გავლენიან პირთა მოსყიდვის საქმის გამოძიებას.

სურათზე: ერთ-ერთი საპროტესტო მიტინგი ტოკიოში.

იაპან — ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

20 აპრილი

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკადესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

საკადესი

ტელეტაიპის ლენტიდან

მადრიდი

● აქ მუშაობა დაამთავრა ესპანეთის მზრუველთა საყოველთაო კავშირის პირველმა ლეგალურმა ყრილობამ.

მისმა მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებენ ყველა მშრომელს გააერთიანონ ღონისძიებანი პროფკავშირული მოძრაობის თავისუფლებისათვის, პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაციისათვის, ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ნიუ-იორკი

● შეერთებული შტატების სიდიდით მესამე ქალაქს ლოს-ანჯელესს მოელის ნიუ-იორკის გზა, რომელიც ფინანსური კატასტროფის ზღვარზეა.

ასეთ დასკვნას შეიცავს ქალაქის მერის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მოხსენება. კომისიის აზრით, უახლოეს მომავალში ლოს-ანჯელესში დაიწყება „უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ყველაზე ღრმა ფინანსური კრიზისი“.

დელი

● ჭლითიწლოვანი იზრდება ინდოეთის მანქანათმშენებლობის პროდუქციის ეკსპორტი.

3,5 მილიარდი რუპია — ასეთი თანხის კონტრაქტები 1975-76 საფინანსო წელს დადო ინდოეთმა სხვადასხვა ქვეყნებისათვის მანქანებისა და მოწყობილობის მიწოდებაზე. ეს ნახვევარი მილიარდი რუპაითა ეტია წინა წელთან შედარებით.

---

25 აპრილს ორი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც იშვა ახალი დემოკრატიული ანტიფაშისტური პორტუგალია. ფაშისტური დიქტატურის დამხობის დღე ეროვნულ დღესასწაულად იქცა. ერთი წლის წინათ ამ დღეს დუკკვმირდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომლის საქმიანობა დამთავრდა ახალი პროგრესული კონსტიტუციის მიღებით, ანალა კი, გადატრიალების მეორე წლისთავის დღეს, უნდა გაიმართოს პორტუგალიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — რესპუბლიკის კრების თავისუფალი არჩევნები, რომელიც პირველია ამ უკანასკნელი სახევარი საუკუნის განავლობაში.

პორტუგალიის რევოლუციამ ბოლო მოუღო ჩვენი დროის ერთ-ერთ უკანასკნელ ფაშისტურ რეჟიმს, მოსპო ჩვენს პლანეტაზე უკანასკნელი კოლონიური იმპერია. 1974 წლის 25 აპრილის ძლევამოსილი ანტიფაშისტური აჯანყების დღიდან გასული ორი წელი აღინიშნა პოლიტიკური ძალების რიული წინააღმდეგობით, რომელებიც რევოლუციამ გაამაცოცხლა.

730 დაძაბულმა, მწვავე ბრძოლებით აღსავსე დღემ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ რევოლუცია ეს არის სოციალური განახლების ძლაგრი ბერკეტი, რომელიც ათავისუფლებს ულდეს შეფოქედებითს ძალებს, რაც თვითეული ხალხია, და ეს ხალხი ადგება ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებისა და ანოლიტიკური ცვლილებების განხორციელების გზას. პორტუგალიელმა მშრომელებმა ბევრ რაიეა ციაღწიეს ამ ორი წლის ანძინლზე, მაგრამ მთავარი ამოცანა — დემოკრატიული წყობილების განმტკიცება — ჯერ კიდევ უნდა გადაწყდეს. მის გადაწყვეტაში დიდი წ�ნიკი იყო ახალი კოსტიტუციის მიღება, რომლის დიმნინავ ხელოვანი ნაბიჯი ამ გზაზე იქნება პარლამენტის არჩევნები.

აპრილის ოც დღეში, რომლებიც ხელისუფალთათვის გამოიყო საარჩევნო კამპანიის ძოსაწყობად, პორტუგალიელმა კომუნისტებმა გააჩაღეს აქტიური და თავდადებული საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, ოათა მოსახლეობის ფართო მასებისათვის განემარტათ პარტიის საარჩევნო პლატფორმა. მთავარი მიზანი, რომელსაც პორტუგალიის კომუნისტური პარტია ისახავს ახლანდელ არჩევნებში ის არის, რომ დაამარცხოს ემმარჯვენე ბურჟუაზიული პარტიები — სახალხო-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული ცენტრის, ქრისტიან დემოკრატთა პარტიები, სახალხო მონარქისტული პარტია, აგრეთვე მათი ფაქტიური დამქაშები, რომელებიც რამდენიმე მაოისტურ დაჯგუფებად არიან გაერთიანებული.

კომუნისტური პარტია მოითხოვს რესპუბლიკის მომავალ კრებაში დემოკრატიული უმრავლესობის შექმნას, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის მხარდაჭერითა და მონაწილეობით მუშაობენ მოვარობენ, ერთადერთი ისეთი მთავრობის შექმნას, რომელსაც შეუძლია წარმატებით დაიცვას მშრომელთა ინტერესები.

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის მებრძოლი ორგანოს „ავანტეს“ მთავარმა რედაქტორმა ამს. დიაშ ლორენსმ ამას წინათ ამ სტრიქონების ავტორთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტ აგიტატორთა ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ უწინარეს ყოვლისა ხელი უნდა შეუწყოს მასების შეგნებაში ფაშისტური ბნელეთის მოციქულობისა და ჩაგვრის თის სოფლებში ხშირად ერთად არის გამოფენილი პორტუგალიის ეროვნული ალამი და კომუნისტური პარტიის წითელი დროშა. პორტუგალიის კომუნისტური პარტიის საარჩევნო მიტინგზე იკრიბება ათიათასობით ადამიანი.

ახლანდელი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მომენტი ეს არის „პარტიული პლაკატების ომი“. სხვადასხვა პარტიის პლაკატებით არის მოფენილი სახლების კედლები, ღობეები, სხვადასხვა ძეგლები. ბევრ ადგილას მემარცხენე პარტიების, განსაკუთრებით კომპარტიის პლაკატების გაკვრა მეტად საშიში საქმე ხდება, თუ გავითვალისწინებთ რეაქციონერთა მუდმივ პროვოკაციებს, რომლებიც მოქმედებენ „ულტრამემარცხენე“ მაოისტურ ელემენტებთან ერთად ან მათი ნიღბით. ამ ახალი დემოკრატიული წყობილების ქვაკუთხედი, რომელიც პორტუგალიაში იქმნება. იგი განამტკიცებს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ მონაპოვრებს, რომელიც პორტუგალიელმა მშრომელებმა მოიპოვეს ფაშისტური დიქტატურის დამხობის შედეგად, უზრუნველყოფს ყველა პორტუგალიელისათვის მოქალაქეობრივ უფლებებსა და დემოკრატიულ თავის უ ფ ლ ებ ებ, მშრომელთა სოციალურ უფლებებს, კანონიერად აცხადებს მუშათა კომიტეტებს საწარმოებში და პროფკავშირულ გაერთიანებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. იგი აცხადებს კოლექტიური საკუთრების პრინციპს წარმოების ძირითად საშუალებებზე, მიწასა და წიაღზე, აუქმებს მონოპოლიებს მრეწველობაში და მემამულეთა მიწებს.

20 აპრილს ორი წელი სრულდება

ახალი პორტუგალიის ორი წელი

წერილი ლისაბონიდან

ორმოცდაათი წლის შედეგების დაძლევას. მშრომელთა ინტერესებისათვის წარმატებული ბრძოლის კონკრეტული პოზიციური მაგალითებით უბრალო პორტუგალიელები უნდა დავარწმუნოთ, თუ რაოდენ რეალურია რევოლუციური პროცესის შემდგომი განვითარების პერსპექტივა, აქტიურად ვაწარმოოთ აგიტაცია მემარცხენე ძალების ერთიანი მოქმედების პოლიტიკისათვის.

რიგითმა კომუნისტებმა, განსაკუთრებით ენთუზიაზმით აღსავსე პორტუგალიის კომკავშირის წარმომადგენლმა ახალგაზრდობამ, მხურვალედ მოჰკიდა ხელი მუშაობას თვალსაჩინო აგიტაციისათვის. ლისაბონის, პორტუს, სეტუბალის, კოიმბრისა და ქვეყნის სხვა ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში ნახავთ პლაკატებსა და ფურცად პანფს, რომლებიც მოუწოდებენ მოსახლეობას ხმა მისცეს კომუნისტური პარტიის კანდიდატებს, ესაუბრებიან პორტუგალიელი ხალხის რევოლუციური მონაპოვრების — მხსნელი და საშუალო საწარმოების, ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ნაციონალიზაციის, აგრარული რეფორმის, ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა კონტროლის შემოღების შესახებ. ამწეთას ისრეზე, ქალაქის მაღლივ შენობებზე, ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე ქვეყნის სამხრეთ-ეროპული ფერდობებიდან ჩამოსულ ბინადრებს ეკიდებათ ალამები, ეკიდებათ ბანერები, ეკიდებათ ლოზუნგები, ეკიდებათ ფოტოები, ეკიდებათ ფანტელებივით ფურცლები, ეკიდებათ ... ეკიდებათ ... ეკიდებათ ...

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველები გვწერენ

□ **ზესტაფონი.** სსრ კავშირის განმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურმა სახეპიდსადგურმა და პროფესორ ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა მოაწყეს დასავლეთ საქართველოს რაიონების ექიმ-პარაზიტოლოგებისა და ენტომოლოგების თათბირ-სემინარი.

სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. მარუაშვილმა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. მთიკაშვილმა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე პროფესორმა ტ. ბაქრაძემ და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა ლ. ზირაქიშვილმა, ი. სალაძემ, აკადემიკოს ანეკიანიძეებმა, ასევე სეზონურ-ეკიპაჟების სანეკიდსადგურების პარაზიტოლოგიური გასუფთავების გამგეებმა ქ. გიგინეიშვილმა და თ. ინწკირველმა.

თათბირ-სემინარზე დასახეს შესაბამისი ღონისძიებები.

ა. ფოცხვერაშვილი.

□ **ახმეტა.** დიდთოვლობისას შირაქში მეცხვარეებს ხშირად აკითხავდნენ აგიტატორები და რაიონის ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მედიცინის მუშაკები და მოსაყვანელები.

გაზაფხულდა და შრომამაც იმატა. დღლის დაწყებისთანავე ეკიპაჟი ვ. მარგოშვილი, ქ. კურატიშვილი, ძ. ბათურიშვილი, ი. შაშიაშვილი და სხვები მორგეობით არიან მწყცხვარეებთან.

მედიცინის მუშაკები მწყემსებს მოემსახურებიან აგრეთვე ცხვრის გადარეკვისა და იალაღებზე ყოფნის დროს.

ა. ისაკაძე.

□ **მახარაძე.** დღითიდღე იზრდება და ლამაზდება სოფელი ასკანა. მოსაფლეტელ ქუჩებმა, მწვანე ნარგავებმა და ახალმა შენობებმა სოფელს სახე უცვალა.

ახლახან აქ ახალი ორსართულიანი კაპიტალური შენობა წამოიმართა, სადაც სავაჭრო ცენტრი გაიხსნა.

ამ შენობაში თორმეტი სხვადასხვა სავაჭრო სექციაა, რომლებიც მომართგებულია შრომელებისათვის საჭირო სხვადასხვა საქონლით.

გ. მოსიძე.

□ **ამბროლაური.** სოფელი ჭყვიში ახალმა ორსართულიანმა ადმინისტრაციულმა სახლმა დაამშვენა. პირველ სართულზე სამასადგილიანი სახოფლო კლუბი და ავტომატური ტელეფონის სადგური გაიხსნა, ხოლო მეორე სართული ჭყვიშის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დირექციას, კავშირგაბმულობის განყოფილებასა და სახოფლო საბჭოს დაეთმო.

ვ. ციხკარიძე.

ნიგნის თარო

ამას წინათ „საბჭოთა საქართველოში“ გამოსცა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის შ. ჯაფარიძის ნაშრომი „საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისათვის“.

ნაშრომში ვრცელად არის გაშუქებული საქართველოს კომპარტიის მრავალმხრივი მუშაობა სუბტროპიკული მეურნეობის აღმავლობისათვის, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების დიდ მნიშვნელობას.

წიგნში საქმის ცოდნით არის მოთხრობილი სუბტროპიკული მეურნეობის დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობაზე, ეკონომიურ პრობლემებზე, ამ დარგის შემდგომი განვითარების ამოცანებზე. ეს ნაშრომი დახმარებას გაუწევს სუბტროპიკული მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და სამეურნეო აქტივს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ახლახან გამოსცა პროფესორ **ს. არშბას** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის **ნ. ბეროძის** ნაშრომი „მეხჯის ძვალშიგა ფლებოგრაფია“. მასში განხილულია ონკოლოგიის თანამედროვე კვლევის ახალი მეთოდი.

წიგნი დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს ექიმ-ონოლოგებს, ონკოლოგებს, ქირურგებს, გინეკოლოგებს, რენტგენოლოგებს.

წიგნის რედაქტორია ნ. ჩიგოგიძე.

შ. გოზალიშვილი — „ილია ოქრომეჯღლიშვილი“. წიგნში განხილულია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და გამჩენათლებლის — ილია ოქრომეჯღლიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

წიგნი გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“, რედაქტორია ე. მალრაძე, შეიცავს 158 გვერდს, ღირს 21 კაპიკი.

ბ. ხარაზიშვილი — „სიცრუის ფსიქოლოგია“. როგორც ანოტაცია გვაცნობს, წიგნი ზნეობრივი აღზრდის საკითხს ეძღვნება.

წიგნი, რომელიც „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა, 190 გვერდს შეიცავს და 31 კაპიკი ღირს. რედაქტორია უ. ბაბტაძე.

თერმოპტომური ენერგეტიკის ნაგიჯები

მართვითი თერმოატომური სინთეზი თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთი დიდი პრობლემაა. ამ დარგში გამოკვლევები სსრ კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში 50-იან წლებში დაიწყო, მაგრამ ისინი ისე მიმდინარეობდა, რომ შედეგები არ ჭეუენდებოდა. და აი 1956 წელს საბჭოთა მთავრობის ინიციატივით დაიწყო სამეცნიერო ინფორმაციის რეგულარული საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა და მართვითი თერმოატომური სინთეზის პრობლემები საერთაშორისო სიმპოზიუმების და კონფერენციების განხილვის საგანი გახდა. ამჟამად მართვითი თერმოატომური რეაქციების განხორციელების სამუშაოები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტარდება და ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რომელ ქვეყანაში და როდის შეიქმნება პირველი თერმოატომური რეაქტორი. ექსპერიმენტები სხვადასხვა ტიპის დანადგარებზე ტარდება.

1969 წელს საბჭოთა კავშირში თერმოატომურ დანადგარ „ტოკამაკი-3“-ზე პირველად მოხდა ნეიტრონების რეგისტრირება, რაც დეიტერუმის ატომგულის შეერთებას ადასტურებდა. და თუმცა პლაზმის დაყოვნების დრო წამის მეასედი და ნეიტრონთა ნაკადის ინტენსიურობა მცირე იყო, ექსპერიმენტებმა ამ ტიპის დანადგარების პერსპექტიულობა დაამტკიცა. ეს დანადგარები შემუშავებულია საბჭოთა მეცნიერების მიერ აკადემიკოს ლ. ა. არციმოვიჩის ხელმძღვანელობით. „ტოკამაკმა“ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

1973 წლის 21 ივნისს სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერეს სამთავრობო შეთანხმებას სამეცნეიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებათვის გამოყენების დარგში, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად შეტანილია მართვითი თერმოატომური სინთეზიც.

1975 წლის ივნისში ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტში საექსპლოატაციოდ გადაეცა მძლავრი თერმოატომური დანადგარი „ტოკამაკი-10“, რითაც ახალი ეტაპი დაიწყო „საუკუნის პრობლემის“ გადაჭრის გზაზე.

1976 წლის იანვარ-თებერვალში ამერიკელმა მეცნიერებმა ჯ. ლაიონმა (ოკრიჯის ეროვნული ლაბორატორია), ტ. ტამანომ („ჯენერალ ატომიკ“ ფირმის ლაბორატორია) და ჩ. დონნიმ (პრინსტონის პლაზმის ფიზიკის ლაბორატორია) მონაწილეობა მიიღეს „ტოკამაკი — 10“ დანადგარის გაშვების ექსპერიმენტებში. საბჭოთა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ტ. ტამანომ აღნიშნა: „ამ დარგში სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მონაწილეობა დააჩქარებს თერმოატომური ენერგიის დაუფლების პროცესს. ჩვენი მუშაობა აქ, თქვენთან ძალიან სასარგებლო იყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილია ასეთივე დიდი მანქანა, და ჩვენ საბჭოთა ატომური ენერგიის ინსტიტუტში შეძენილი გამოცდილება უთუოდ გამოგვადგება. ამ მხრივ ამერიკელი და საბჭოთა მეცნიერების თანამშრომლობა დღევანდელობის მოთხოვნებს ესადაგება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ერთობლივი ბრძოლის შედეგია.

„ტოკამაკი-10“-ის თერმოატომური დანადგარის ამუშავება საბჭოთა მეცნიერების დიდი მიღწევაა. მისი წინასწარი შედეგები ასეთია: ნეიტრონთა ნაკადი 100-ჯერ მეტია, ვიდრე ანალოგიური სისტემის სხვა დანადგარებზე. თერმოატომურ ტექნიკაში პირველად მოხდა შესაძლებელი, რომ პლაზმის მეტად მაღალი სიმკვიდროვის პირობებში არსებითად გაზრდილიყო მისი დაყოვნების დრო. თერმოატომური რეაქციის სინთეზის ასეთი ხანგრძლივი პერიოდი მსოფლიოში დღემდე არსებულ არცერთ თერმოატომურ დანადგარზე არ მიუღიათ. ჯერჯერობით საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაადრეია, რადგან ექსპერიმენტები მხოლოდ დაიწყო, მაგრამ საბჭოთა მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ „ტოკამაკი — 10“ ნამდვილად საბოლოო საკვლევი ხასიათის დანადგარია.

სურათებზე: ზემოთ — საბჭოთა მეცნიერი ვ. ხანიკოვი (მარცხნივ) და მისი ამერიკელი კოლეგა ჯ. ლაიონი ექსპერიმენტის დროს; ქვემოთ — საბჭოთა თერმოატომური დანადგარი „ტოკამაკ-10“.

ახალი ამბების საააგენტოს ფოტო.



ავტობუსების ახალი გრაფიკი

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში თითქმის ვერ ხასავთ სოფელს, რაიონულ ცენტრს, რომ საავტომობილო ტრანსპორტი დაკავშირებული არ იყოს თბილისთან, მსხვილ სამრეწველო ქალაქებთან. ავტობუსებით ყოველდღიურად ათასობით მგზავრი სარგებლობს. ამიტომ მათი უკეთ მომსახურების მიზნით 20 აპრილიდან საქალაქთაშორისო და სარეპუბლიკათაშორისო საავტობუსო მარშრუტებზე შემოღებული იქნება მიმოსვლის ახალი გრაფიკები.

— უკანასკნელ ხანს, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მგზავრთა გადაყვანის სამმართველოს უფროსმა ხ. მიქაძემ, — ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის საავტომობილო გზების კეთილმოწყობისათვის, გაყვანილია უფრო მოსახერხებელი მოკლე გზები, გაიზარდა ავტომაქანების მაქსიმალურად დასაშვები სიჩქარეც; ავტომეურნეობები შეიქმნა როგორც სამამული, ისე საზღვარგარეთული წარმოების დიდი სიჩქარის ახალი კომფორტული ავტობუსებით. ბევრად შემცირდა ავტოსადგურებში ავტობუსების დგომის დროც. ყოველივე ამან საგრძნობლად შეამცირა ავტობუსების მიმოსვლის დრო. ამიტომაც გახდა აუცილებელი ახალი გრაფიკების შემოღება. ერთი სიტყვით, თბილისიდან დასავლეთის რაიონებში მიმავალი მგზავრი რამდენიმე საათით ადრე ჩავა დანიშნულ ადგილამდე, დაიზოგება ძვირფასი დრო, გაუმჯობესდება მგზავრთა მომსახურების კულტურაც.

კიდევ ერთი სიახლე — მეტროპოლიტენის „დიდუბის“ სადგურთან ახლახან მწყობრში ჩადგა ახალი კეთილმოწყობილი ავტოსადგური. ამიერიდან ცენტრალური ავტოსადგურიდან დასავლეთისაკენ მიმავალი ავტობუსები აუცილებლად შეივლიან დიდუბის ავტოსადგურში და აიყვანენ მგზავრებს. წინათ მგზავრი ავტობუსებს საქართველოს სამხედრო გზაზე ღია ცის ქვეშ ელოდებოდა, ახლა მას სამუალება ექნება ავტობუსის მოლოდინში კულტურულადაც დაისვენოს.

ჭადრაკში სსრ კავშირის თასზე

ლიდერობს „ბურევესტნიკი“

მეოთხე ტური. ცდხა-სოფლის მოჭადრაკეთა ნაკრები — 3:3 (3 პარტია გადადგა), „ბურევესტნიკი“-„სპარტაკი“ — 3:2 (4), „ტრუდი“-„დინამო“ — 1,5:0,5 (7), „ვანგარდი“-„დაუგავა“—2:3 (3).

4 ტურის შემდეგ 19,5 ქულით (7 გადადებული პარტია) პირველ ადგილზეა „ბურევესტნიკი“.

ვინ მოიპოვებს სპეციალურ პრიზს პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგისათვის? ეს კითხვა აღელვებს გულშემატკივრებს. მეოთხე ტურამდე ყინ იყო რომანიშინი, რომელიც მსოფლიოს ექსჩემპიონ ტალს ხვდებოდა. შეაღლია, ლვოველი მოჭადრაკე რამდენადმე „მოადუნა“ ტალის სამმა რიგითმა ყაიმმა. შავები ენერგიულად თამაშობდნენ. ტალი ეტლით შეიჭრა მეტოქის ბანაკში და მოიგო პაიკი. მარტივი, ოვრამ ლამაზი ტაქტიკური დარტყმით რიგელმა მოჭადრაკემ პირველი გამარჯვება მოიპოვა. ახლა ტალს 4 შეხვედრიდან 2,5 ქულა აქვს და ლიდერთა შორის პირველ ადგილზეა.

სიცილიური დაცვის წინააღმდეგ, რომელიც კარპოვმა აიირჩია. ლუტიკოვმა ფიგურების განლაგების საინტერესო გეგმა აირჩია და უპირატესობა მიიღო, მაგრამ კარპოვი თავს ჩინებულად ცავდა და პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგია სმისლოვისა და პეტროსიანის შეხვედრაში. „დინამომ“ კორჩნოის წინააღმდეგ ბრონშტეინის ნაცვლად საერთაშორისო ოსტატი ანიკაევი გამოიყვანა. პარტია გადაიდო **კორჩნოის** უპირატესობით.

მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს ქალთა პირველ დაფაზე. მოულოდნელი რამ მოხდა რანიკუგაფრინდაშვილის პარტიაში. მსოფლიოს ჩემპიონმა შავებით საკმაოდ იოლად მიაღწია მოსაგებ პოზიციას, მაგრამ შემდეგ აჩქარდა. მას მხედველობიდან გამორჩა თეორების მუქარა და რანიკუშვილების განლეორებით მიაღწია ყაიმს. ალექსანდრია-ბრინფელდის პარტია გადადგა. ქართველ მოჭადრაკეს აშკარა უპირატესობა აქვს.

ბუშინ მეხუთე ტურში გაფრინდაშვილმა უძლიერესი იერიშით მოუგო საერთაშორისო ოსტატ ზატულოვსკაიას. ალექსანდრია სწრაფად შეუთანხმდა ყაიმზე საერთაშორისო ოსტატ კოზლოვსკაიას.

კარპოვის წინააღმდეგ ბრონშტეინის ნაცვლად ითამაშა ანიკაევმა. შუა თამაშში მსოფლიოს ჩემპიონმა შეწირა ორი პაიკი და დაიწყო შეტევა ცენტრში დარჩენილ შავ მეფეზე. ანიკაევმა დაკარგა ლაზიერი და შეწყვიტა წინააღმდეგობა. ეს კარპოვის პირველი გამარჯვებაა. კორჩნოი-სმისლოვი, პეტროსიან-რომანიშინი და ტალ-ლუტიკოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. გურგენიძემ ხარისხი შესწირა გიასლისს. რიგელმა დიდოსტატმა შეძლო თეთრების მუქარის მოგერიება და ეს შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა. რუჩიოვა-ჩიბურდანიძის პარტია გადადგო რთულ პოზიციაში, ზაიხიგმა მოუგო კორსუნსკის.

დღეს მთავრდება ხუთი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები, რაც სიცხადეს შეიტანს სატურნირო ცხრილში.

გ. გამრეკელი.

ჭიდაობა

ლ. თედიაშვილი — ევროპის ჩემპიონი

ლენინგრადში, „საიუბილეოს“ სპორტის სასახლის სარბიელზე გაშლილ ხალიჩებს სამბისტთა შემდეგ თავისუფალი სტილის მოჭიდავენი დაეუფლნენ. ასპარეზობაში 18 ქვეყნის 115 საუკეთესო ფალავანი ჩაება.

როგორც მოსალოდნელი იყო ქვემძიმე წონით კატეგორიაში (90 კგ) ბადალი არ ჰყავდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლევან თედიაშვილს (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბალავაძე), რომელმაც დამაჯერებლად ჩაატარა ყველა შეხვედრა და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

— მე ვნახე თედიაშვილის ჭიდაობა — ეს მართლაც შესანიშნავია! — თქვა უნგრელმა მწვრთნელმა დიერდ გერჩიმა.

ასევე მაღალ შეფასებებს აძლევენ ქართველი ფალავანის გამოსვლას ლენინგრადის ხალიჩაზე ჭიდაობის სხვა სპეციალისტები.

ფეხბურთი

შვიდი მატჩი

ჟუთაისის „ტორპედოსა“ და კრასნოდარის „ყუბანის“ მატჩის (2:1) გარდა, რომლის შესახებ ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ შვიდი შეხვედრა.

ეი მათი შედეგები: რიგის „დაუგავა“-აშხაბადის „კოლხოზჩი“ — 2:1; ზაპოროჟიეს „მეტალურგი“-დუშანბეს „პამირი“ — 3:0; ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“-ალმა-ათის „კირატი“ — 0:0; კიშინიოვის „ნისტრუ“-ტაშკენტის „პახტაკორი“ — 1:1; სიმფეროპოლის „ტავრია“-გროზნის „თერგი“ — 2:0; როსტოვის სკა-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 1:0; ბაქოს „ნეფტჩი“-ნალჩიკის „სპარტაკი“ — 3:0.

ჰოკეი

დღეს პატივიცეში

პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში დღეს იწყება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი — პირველ და მეორე ოთხეულთა ასპარეზობა. ფინალურ კვარტალს, როგორც ცხობილია, შეადგენენ ჩეხოსლოვაკიის, შვეიცის, სსრ კავშირისა და აშშ-ის ნაკრებები. ამ ორი უკანასკნელი გუნდის გუშინწინდელი შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ჰოკეისტების გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

დღეს საბჭოთა ნაკრები ხვდება შვეიცის გუნდს, 23 აპრილს — აშშ-ს და 25 აპრილს — ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებს.

წყალბურთი

დიდი ანგარიშით

შარაევინის დედაქალაქში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი წრე უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ბოლო ტურში თბილისის „დინამო“ შეხვდა ლვოველ თანაკლუბელებს და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით 6:1. ამავე დღეს მოსკოველმა მეზღვაურებმა მოუგეს ტამკენტის „მეხსატს“ — 7:3, კიევის „დინამომ“ — ბაქოელ მეზღვაურებს — 6:5, ალმა-ათის „დინამომ“ — ვოლგოგრადის „სპარტაკს“ — 9:8, სპორტკლუბმა „მოსკვიჩმა“ — ალმა-ათის „ენბეკს“ — 6:3, ხოლო მოსკოვის გუნდების — უნივერსიტეტისა და „დინამოს“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4.

გათამაშებას ახლა ორი ლიდერი ჰყავს — მოსკოველ მეზღვაურთა გუნდი და კიევის „დინამო“, რომლებსაც 21 ქულა აქვთ თვითეულს. ბაქოელებმა 16 ქულა მოაგროვეს, მოსკოვის უნივერსიტეტმა — 15, მოსკოვის „დინამომ“ — 12, თბილისის „დინამომ“ — 11 ქულა (მეექვსე ადგილი).

მოკლედ

ფეხბურთი. გაიმართა საქართველოს პირველობის მორიგი მატჩები. პირველ ზონაში ლიდერობენ თელავის „ნადიკვარი“, ბოლნისის „მადნეული“, თბილისის გუნდები — ფიზკულტურის ინსტიტუტი და „განთიადი“ — 6 ქულა ხუთი ტურის შემდეგ. მეორე ზონაში წინ არიან სოხუმის „დინამო“, გეგეჭკორის „სალინო“ და მახარაძის „მერცხალი“ — შვიდი ქულა თვითეულს.

კალათბურთი. საბჭოთა ქალთა ნაკრები განაგრძობს ტურნეს აშშ-ში. ამჯერად იგი შეხვდა აიოვას შტატის ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით 88:52.

ფარიკაობა. პოლონეთის ქალაქ პოზნანში მიმდინარეობს იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი. დიდ წარმატებას მიაღწია კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ირინე დოლგიხმა, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა გოგონათა შორის.

საკავშირო კონკურსზე

მოსკოვში დამთავრდა „წლის საუკეთესო სპორტული წიგნის“ მესამე საკავშირო კონკურსი, რომელშიც 19 გამომცემლობის 63 წიგნი, ბროშურა და ალბომი იყო წარდგენილი.

საკონკურსო ჟიურიმ საუკეთესოდ გამოცემებად ცნო ალბომი „მოსკოვი-80“, წიგნები „ღაღადა ლოყები“, „გულუბრი ალმური“ (ყველა — გამომცემლობა „ფიზკულტურა და სპორტ“), „ხუთი დღე და მთელი ცხოვრება“ (გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია“) და სხვა.

სპეციალური ჯილდოები საუკეთესო გაფორმებისათვის დაამსახურეს ესტონეთში გამოცემულმა წიგნებმა „მე-20 ოლიმპიური თამაშები. მიუნხენი. 1972“, „ძალოსნობა ესტონეთში. ლურიხიდან ტალტსამდე“ და „სათხილამურო სპორტი“.

ამინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოს უწვიმდა რაიონებში ყინვიდა, 13 საათზე ყველაზე მეტი სითბო, 12 გრადუსი ბათუმში აღინიშნა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 8-11, მთაში 3-7 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის უნალექო ამინდი იდგა, დაბლობ რაიონებში 10-12, მთაში 4-6 გრადუსი სითბო აღინიშნა.

თბილისში 13 საათზე თერმომეტრი 14 გრადუს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლაბადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 10-15, მთაში 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში უმეტესად მცირე წვიმა მოსალოდნელი, მაკვირის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 13-18, მთაში 1-6 გრადუსი სითბო იქნება.

თბილისში მოსალოდნელია 16-18 გრადუსი სითბო.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

ანცხადებს მიღებას 1976-1977 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია (რუსული და ქართული სექტორები), სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (ქართული და რუსული სექტორები), ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი), დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართული და რუსული სექტორები), ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (ქართული სექტორი), გეოგრაფია (ქართული სექტორი).

მომსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი);

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი);

ისტორიის სპეციალობაზე — ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი*), უცხო ენაში (ზეპირი);

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობაზე — ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი);

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე — ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი);

დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე — ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი);

ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის სპეციალობაზე — მათემატიკაში (წერა და ზეპირი*), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

გეოგრაფიის სპეციალობაზე — გეოგრაფიაში (ზეპირი*), მათემატიკაში (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), ენასა და ლიტერატურაში (წერა)

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის ან წარჩინების დიპლომით საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ ერთ-ერთ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით. ამ საგანში შეფასება „ხუთის“ მიღებისას აბიტურიენტები თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარებისაგან.

ეხასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდები ტოდება თხზულების სახით.

მოსაღები გამოცდები ეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებული პირები სარგებლობენ სამუშაო ადგილიდან 15 კალენდარული დღის დამატებითი შვებულებით (ხელფასის შეუნარჩუნებლად).

არასაპატიო მიზეზით გამოცდებზე გამოუცხადებლობის, აგრეთვე „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი იხსნება გამოცდიდან.

შეფასების აწაღლების მიზნით საგნის გადამარება აკრძალულია.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ არჩეული სპეციალობით ან დამთავრებული აქვთ შესაბამისი პროფილის საშუალო სპეციალური სასწავლებელი, ან არიან დემობილიზებულნი (დემობილიზებულნი ამ უფლებით სარგებლობენ დემობილიზაციიდან სამი წლის განმავლობაში).

არჩეული სპეციალობით მომუშავეთა თანაბრად მიიღებიან ოფიცრები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ზევადიანი სამხედრო მოსამსახურენი, მათთვის დადგენილი წესით, ნებართვის წარდგენის შემთხვევაში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან სამპოფოო ომის მონაწილენი, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს მედლით ან წარჩინებისა დიპლომით. ასევე, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან შტატის შემცირების, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ნამსახურობის შედეგად სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილი ოფიცრები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები, ზევადიანი სამხედრო მოსამსახურენი (მიუხედავად თადარიგში დათხოვნის ვადისა), რომელთაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი სამხედრო განათლება, ან დაუთავრებელი უმაღლესი სამხედრო, ან სამოქალაქო განათლება (იმის მიუხედავად, თუ რომელ კურსზე სწავლობდნენ), ხოლო კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან იმ შემთხვევაში, თუ აქვთ საშუალო განათლება და გამოცდებზე მიიღებენ დადებით შეფასებას.

მესამე კურსზე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან 1939 წლის შემდეგ სამამწყვალეველო ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც დამთავრეს მათთან გათანაბრებული სასწავლებლები, თუ მუშაობენ მასწავლებლად და სწავლის გაგრძელება სურთ შესაბამის სპეციალობაზე.

პირველ რიგში ჩაირიცხებიან: ის პირები, რომელთა სამუშაო შეესაბამება უმაღლესში არჩეულ სპეციალობას და აქვთ ამ ხაზით არანაკლებ 6 თვის მუშაობის სტაჟი; საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებდამთავრებულნი (თუ ისინი შედიან მონათესავე სპეციალობაზე), აგრეთვე თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი.

ამასთან, ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ ის პირები, რომლებსაც სათანადო ორგანიზაციები აგზავნიან შესაბამის საპეციალობაზე და წარადგენენ დადგენილი ნიმუშის მიმართვას (იხ. მიღების წესები, დანართი № 6). დარჩენილ ადგილებზე ჩაირიცხებიან შემსვლელნი, რომელთაც არ ექნებიათ არჩეული სპეციალობით მუშაობის 6 თვის სტაჟი.

განცხადება შეტანილ უნდა იქნეს რექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 4 ფოტოსურათი (უქუდოდ 3X4 სმ); დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან ადმინისტრაციის, პარტიულთა, კომკავშირულთა, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ხელმოწერით: ვისაც არა აქვს 2 წლის სამუშაო სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება გაცემული საშუალო სკოლის ან სხვა სასწავლებლის მიერ. ახლადდემობილიზებულთათვის დახასიათება სავალდებულო არ არის, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (დამოწმებული საწარმოო დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ). პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ან მიწერის მოწმობა) წარდგენილ უნდა იქნეს პირადად.

განცხადებები მიიღება ა/წლის **3 მაისიდან 31 მაისამდე (ჩათვლით). მისაღები გამოცდები ჩატარდება 1-20 ივნისამდე.**

დაწვრილებითი ცნობებს მიიღებ შეიძლება ინსტიტუტის სახელმწიფო კომისიაში (თბილისი, ა. ჭავჭავაძის პროსპექტი № 32).

ჩვენი ბნობარი



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლა

ანცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976-1977 სასწავლო წლისათვის

1-ლ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 კლასებში შემდეგ სპეციალობებზე: ფორტეპიანო, ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, არფა; 1-ლ, მე-4, მე-7, მე-8 კლასებში — ფლეიტა, ობოა, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი.

პირველ კლასებში მიიღებიან 7 წლის ბავშვები, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი, საუკეთესო სმენა, რიტმი, მეხსიერება, მეორე და ზემდგომ კლასებში შემსვლელთ ზემოთადნიშნულთან ერთად უნდა ჰქონდეთ კლასისათვის შესაფერისი მომზადება მუსიკალურ საკრავზე და მუსიკალურ საგნებში.

**ს